



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

18 მაისი 2026



N 327/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**გორის მუნიციპალიტეტში შპს „პირველი“-ს 112,5 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 35/110/220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „პირველი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2025 წლის 31 იანვარს სააგენტოს მიერ გამოცემულია „გორის მუნიციპალიტეტში, შპს „პირველის“ 112,5 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის „პირველის“, 35/110/220 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციასა და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე“ №44/ს ბრძანება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტში, კვერნაკის ქედზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 700-1200 მეტრის სიმაღლეზე. საპროექტო ტერიტორია სხვადასხვა სოფლებში (უფლისციხე, ბერბუკი, ქვახვრელი და შავშვები) არსებულ მიწის ნაკვეთებს მოიცავს. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა: 18 ერთეული, თითოეული 6,25 მგვტ სიმძლავრის „Goldwind GWH171-6,25“ ტიპის ქარის ტურბინა-გენერატორი (ჰაბის სიმაღლე – 105 მეტრი, როტორის დიამეტრი – 171 მეტრი); 18 ერთეული ამწის პლატფორმა; 35/110/220 კვ ძაბვის ქვესადგური; ქარის ტურბინა-გენერატორების და ქვესადგურის დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი; სამშენებლო ბანაკი; ფუჭი ქანების 2 სანაყარო; სარეაბილიტაციო და ახალი მისასვლელი გზები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საპროექტო ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი ფარავს/ესაზღვრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებულ პოლიგონს, აღმოსავლეთი ნაწილი – კვერნაკის ქედზე არსებულ ფრინველთა მნიშვნელოვან ტერიტორიას (IBA – GE020 Kvernaki Ridge), ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიას (SPA-10 KVERNAKI) და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს (კვერნაკი – GE0000046), ხოლო უკიდურესი სამხრეთი ნაწილი – ქალაქ გორის ნაგავსაყრელსა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლს (უფლისციხის ნაქალაქარი). დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურიდან (T15 ქარის ტურბინა-გენერატორი) უახლოესი თავშეყრის ადგილი (შავშვების ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია) დაშორებულია 540 მეტრით, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი – 930 მეტრით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, შპს „პირველი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რაც ქარის ტურბინა-გენერატორების რაოდენობის შემცირებას, ერთეული ტურბინა-გენერატორის ტიპის/პარამეტრების ცვლილებას, ერთეული ამწის პლატფორმის ფართობის გაზრდას, 35/110/220 კვ ძაბვის ქვესადგურის ადგილმდებარეობის ცვლილებას/ფართობის გაზრდას, ასევე სანაყაროების რაოდენობის/ფართობის ცვლილებას გულისხმობს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ქარის ტურბინა-გენერატორების რაოდენობა 18 ერთეულიდან 15 ერთეულამდე შემცირდება და T5 (GPS კოორდინატები: X-434349 Y-4651240), T15 (GPS კოორდინატები: X-435785 Y-4651339) და T18 (GPS კოორდინატები: X-435550 Y-4650896) ქარის ტურბინა-გენერატორები აღარ მოეწყობა. ამასთან, „Goldwind GWH171-6,25“ ტიპის ქარის ტურბინა-გენერატორები (თითოეულის სიმძლავრე – 6,25 მგვტ; ჰაბის სიმაღლე – 105 მეტრი; როტორის დიამეტრი – 171 მეტრი) „Goldwind GWH182-7,5“ ტიპის ქარის ტურბინა-გენერატორებით (თითოეულის სიმძლავრე – 7,5 მგვტ, ჰაბის სიმაღლე – 110 მეტრი; როტორის დიამეტრი – 182 მეტრი) ჩანაცვლდება. გარდა ამისა, ქარის ტურბინა-გენერატორების მოსაწყობად საჭირო თითოეული ამწის პლატფორმის ფართობი გაიზრდება, თუმცა, ქარის ტურბინა-გენერატორების რაოდენობის შემცირებით, ამწის პლატფორმების მიერ ასათვისებელი ჯამური ფართობიც შემცირდება. ქარის ტურბინა-გენერატორების რაოდენობის შემცირება და ერთეული ქარის ტურბინა-გენერატორის სიმძლავრის გაზრდა ქარის ელექტროსადგურის სიმძლავრის ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული 35/110/220 კვ ძაბვის ქვესადგური თავდაპირველი განთავსების ადგილიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 2,2 კილომეტრის დაშორებით გადაინაცვლებს, ხოლო მისი განთავსების ფართობი 26 400 მ<sup>2</sup>-დან 37 000 მ<sup>2</sup>-მდე გაიზრდება. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მოთხოვნით, რომლის საფუძველზეც ქვესადგურს 1-1 ელგაზური ამომრთველი, 3-3 გამთიშველი და 3-3 დენის ტრანსფორმატორი დაემატება. შერჩეული ტრანსფორმატორებისთვის რკინა-ბეტონის სამირკვლები მოეწყობა, რომლებიც ზეთიმძლავრე ავზით აღიჭურვება, ხოლო ზეთიმძლავრე ავზი ფოლადის მილით ზეთშემკრებ რეზერვუარს შეუერთდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ქარის ტურბინა-გენერატორების რაოდენობის შემცირება და 35/110/220 კვ ძაბვის ქვესადგურის ადგილმდებარეობის ცვლილება, თავის მხრივ, ქარის ტურბინა-გენერატორების და ქვესადგურის დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის, ასევე სარეაბილიტაციო/ახალი მისასვლელი გზების დერეფნის ცვლილებას და მათი ჯამური სიგრძეების შემცირებას გამოიწვევს. ამასთან, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით საქმიანობის ფარგლებში მოსაწყობი სანაყაროების რაოდენობა 2-დან 3 ერთეულამდე გაიზრდება და მათი ჯამური ფართობი 36,8 ჰექტარი იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად იქნა შესწავლილი საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე, ხოლო დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას არ უკავშირდება. ამასთან, T15 ქარის ტურბინა-გენერატორის გაუქმებით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურულიდან (განახლებული ნუმერაციით T15 ქარის ტურბინა-გენერატორი) უახლოესი თავშეყრის ადგილამდე (შავშვების ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია) მანძილი დაახლოებით 1,5 კმ-მდე, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე – დაახლოებით 1,88 კმ-მდე გაიზრდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად იქნა შესწავლილი საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე, რის საფუძველზეც შესაბამისი პრევენციული, შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებები განისაზღვრა. ვინაიდან დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის

ცვლილებით 3 ქარის ტურბინა-გენერატორი უქმდება, დარჩენილი 15 ქარის ტურბინა-გენერატორის ადგილმდებარეობა უცვლელი რჩება, ხოლო ქარის ელექტროსადგურის სხვა ძირითადი თუ დამხმარე ინფრასტრუქტურა საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლილ არეალს არ გასცდება – აღნიშნული ცვლილებები გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება. ამასთან, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე საქმიანობის გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პრევენციული, შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებები გატარდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით მშენებლობის ეტაპზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ექსკავირებული გრუნტის ჯამური მოცულობები შემცირდება. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით განხორციელდება. ამასთან, ექსკავირებული გრუნტის ნაწილი უკუყრილისა და შუალედური ფენის მოწყობისთვის იქნება გამოყენებული, ხოლო ნაწილი ფუჭი ქანების სანაყაროებზე განთავსდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით მოხდება, რომელიც სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სააგენტოსთან შეთანხმდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად იქნა შესწავლილი საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე, რის საფუძველზეც შესაბამისი პრევენციული, შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადების დროს ჩატარებული ორნითოლოგიური კვლევისას, საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ფასკუნჯის ბუდე გამოვლინდა, რის გამოც ქარის ელექტროსადგურის პროექტი დაკორექტირდა და T5 და T15 ქარის ტურბინა-გენერატორების ადგილმდებარეობები შეიცვალა. მითითებული ქარის ტურბინა-გენერატორების მოწყობა, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, გათვალისწინებული აღარ არის (ჯამურად 3 ქარის ტურბინა-გენერატორი გაუქმდა), რაც ორნითოფაუნაზე შედარებით ნაკლებ უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლილ არეალს არ გასცდება და დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბი არსებითად არ იცვლება, ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვნად არ შეიცვლება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება დეტალურად იქნა შესწავლილი და შეფასებული საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე, ხოლო დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ცვლილებას არ უკავშირდება.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებულ საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი არ მდებარეობს და აღნიშნული ტერიტორია რომელიმე ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონაში არ ექცევა. შესაბამისად, საპროექტო არეალიდან დაცილებულ ძეგლებზე ზემოქმედება მხოლოდ ვიზუალური კუთხითაა მოსალოდნელი. ვინაიდან ქარის ტურბინა-გენერატორები ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის (უფლისციხის ნაქალაქარი) ხედვის არეალშია მოქცეული, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხილული იქნა პროექტი (რეალურ გარემოში შესრულებული ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედვითი წერტილებიდან, რომლებზეც ნაჩვენებია ტურბინა-გენერატორების მიმართება უფლისციხის კლდეში ნაკვეთ ნაქალაქართან), რომელიც დადებითად შეფასდა. რაც შეეხება არქეოლოგიას, როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული,

მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალური არქეოლოგიური კვლევით საპროექტო ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტების არსებობა არ დადასტურდა, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებისას მიწის სამუშაოები არქეოლოგიის ზედამხედველობით წარიმართება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს კორესპონდენციის შესაბამისად, ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, რომელიც მიწის ზედაპირიდან 100 მეტრს აღემატება, საავიაციო დაბრკოლებად ითვლება და საჰაერო სივრცის მომხმარებლებისთვის შესაბამისი ფორმატის დაცვით უნდა იყოს გამოქვეყნებული. ქარის ელექტროსადგურების შესახებ ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან წარდგენილი უნდა იქნას გამოქვეყნებისთვის აუცილებელი დამატებითი მონაცემები, „სამოქალაქო საავიაციო უსაფრთხოების მიზნებისთვის განკუთვნილი გეოდეზიური სამუშაოების შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 მარტის №106 დადგენილების (დანართი 1) შესაბამისად. ამასთან, „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილების 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ შენობა-ნაგებობის სიმაღლე მიწის დონიდან 150 მეტრი ან მეტია, იგი ექვემდებარება დღის და ღამის ნიშანდებს, რომელიც ამავე დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად უნდა შესრულდეს. სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ შპს „პირველი“-ს მიერ საქმიანობის განხორციელებისას მხედველობაში იქნება მიღებული ავიაციასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული საკითხები.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**


### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნას სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გორის მუნიციპალიტეტში შპს „პირველი“-ს 112,5 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 35/110/220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს.**
2. შპს „პირველი“ ვალდებულია, რომ საქმიანობა განახორციელოს 2025 წლის 31 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №44/ს) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.
3. შპს „პირველი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს:
  - ა) ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების (shp-ფაილთან ერთად) სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;

ბ) რეკულტივაციის გეგმის/პროექტის სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა.

4. შპს „პირველი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2025 წლის 31 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №44/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პირველი“-ს.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პირველი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/327-21-4-202605182002>

